ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6453308

ნომერი: AR1961459

თარიღი : 18.04.2023

გაცემის თარიღი : 10.05.2023

გაცნობის თარიღი : 20.05.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა გოგრიჭიანი პ/ნ 12001014132
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 18 აპრილის №AR1961459 განცხადებით მომართა კობა გოგრიჭიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ავტოსადგომების განლაგებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 04 მარტის №2466181 ბრძანებით №01.12.12.002.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 04 მარტიდან 2017 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.12.002.045) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ივნისიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ავტოსადგომების განლაგების სამსახურის 2016 წლის 04 მარტის №2466181 ბრძანებით შეთანხმებული განლაგების (-3.70 ნიშნულის გეგმა) ანალოგიურად დაფიქსირებას.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადება არასწორად იქნა დარეგისტრირებული „ცვლილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით. ავტოსადგომების განლაგების ცვლილება საჭიროებს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ავტოსადგომების განლაგების ცვლილება საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას), სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ავტოსადგომების განლაგების სქემასთან (-3.70 ნიშნულის გეგმასთან) დაკავშირებით ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.